

საქართველოს მემკვიდრე



ბ ა თ რ მ ი.

„აგი ძალდი ანც თითონ სჯამს, ანც სსვას აჯმევს.“

№
14

1920 წ.

თებერვლ. 22



ცხვარი. მაშ არა სთმობ, რალა?.. რა გეწყობა: ცხვარი—ცხვარია, მაგრამ თუ გაცხარდა—ცხარია!

„ფ ა უ ს ტ ი“

(ზღაპარი)

„მ ი მ ი რ ი ო ნ ი“

ქ რთ ვ ლ წერალთა კავშირის კლუბი.
ჩინებული სადილები, საუცხოვო ვახშ-
მები, მრავალგვარი გასართობი...“
(საგაზეთო განცხადება).

იყო და არა იყო რა—უფრო არა იყო რა, ვინემ იყო—იყო ერთი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა.

შთამომავლობით და გვარიშვილობით არა უშავდა რა, მაგრამ თუ კაცი თვითონ არ ვარგა, ცუდილია გვარიშვილობა. თვითონ კი ქართული სიტყვა-კაზმული მწერლობა ვერაფერი შვილი იყო: ახოვანება აკლდა—მეტად ჩია კაცი იყო შესახედავით—და გარდა ამისა ენა-ბ-გვოლი და ღარიბი.

მაგიერში ძლიერ პატიოსანი კაცის სახელი ჰქონდა და თუკა მის მზეს არავინ ფიცულობდა, მაგრამ ყველას ეპარებოდა და ყველა უფრთხილდებოდა:

— მართალია, დაქინებული კი არის, ენასაც ძლივს აბრუნებს პირში, მაგრამ პატიოსანი კაცია—და, რაც უნდა იყოს, ერთადერთია—სხვა ჩვენ არა გვყავსო, —ამბობდნენ მისთვის.

— იქნებმ—ჯობინდის, ენაც ვაიტებოს და ჯანზეც მოვიდესო, —ჰფერობდნენ. ენის გატეხას ძალიან ცდილობდა, ღვთის წინაშე: ვინ იცის, რა და რა უცნაური ჩქარა-გამოსათქმელი ლექსებით არ ავარჯიშებდა თავის ბოროტ ენას, მაგრამ ეს ავარჯიშობა თუ სწყენდა, პირველ შველით არა ჰშველოდა.

ძლიერ ცუდ ყოფაში იყო საბრალო. თითონაც გრძნობდა, რომ კარგი არ სჭირდა, მაგრამ ვერა გაეწყო რა.

განსაკუთრებით მაშინ გაუმწვავდა ტანჯვა-წამება, როდესაც საქართველო განთავისუფლდა და დამოუკიდებელი ცხოვრება დაიწყო.

სიტყვა კაზმული მწერლობა ჰხედავდა რომ მის გარშემო სიკოცხლე სჩქედდა, შემოქმედების ცეცხლი ჰღვიადა და თითონ კი თანდათან სტკნებოდა.

— საბრალო, არ კი მოკვდისო, —სწუხდნენ მისთვის: რაც უნდა იყოს, პატიოსანი კაციაო.

— ამისთანა სიკოცხლეს სიკვდილი სჯობიაო, — ხშირად გაუელვებდა ხოლმე თავში მწერლობას.

ერთხელ, ძალიან რომ გაუტირდა ილაჯი გაუწყდა, თავის ნესტიანსა და ცივს წარდაუში ბედს ჩივილი დაუწყო:

— რაღა ვარ მეო? — ამბობდა: ქვეყანა ჯადადებს, ცხოვრებას ლოყებზე აღმური ასდის (მხატვრულ სახეებით უყვარდა ლაპარაკი) და მე კი ნარინჯის ფერი დაქდებია და სულს ძლივს ვათრეგო. სადა

ხართ თქვენ, ფრთოსანო რაშებო ჩემი ოცნებისანო და თქვენ, თავხედო იმედებო ჩემის სიყრმისაო! ნუთუ ყველანი ქიმერებათ იქეციეთო! — და თავის მოსაკლავად მოემზადა.

უცებ მის სარდაფში საიდანღაც გაჩნდნენ რაღაც საოცარი და საშინელი არსებანი, რომელნიც მანქვავრებითა და შემაძრუწნებელი ხითხითით აეკრენ ყველა კედლებს.

— ვინა ხართ? . რა გინდათ ჩემთანო? . წამოიძახა თავზარდაცემულმა სიტყვა-კაზმულმა მწერლობამ.

— ხი-ხი-ხი! აკი თითონ შენ გვახსენე! ჩვენც მოვედითო, —ლპასუხეს ქინკების მსგავსმა არსებებმა და კვლავ ხითხითი მორათეს.

— როგორ თუ მე თითონ ვახსენეთ! ვინა ხართო? — გაუშეორა მწერლობამ.

— ჩვენა ვართ შენი ქიმერები და შენს საშველად მოვედით: ნუ გეშინია... საძტორად არ მოვსულვართო, —უთხრეს მათ.

— მაინც, რა გინდათო?, ჰკითხა მწერლობამ.

— შენი შველა, შენი სიკვდილიდან გადარჩენაო — უპასუხეს ქიმერებმა.

— ტყუილი განზრახვაა: შე ველარეინ მიხსნის, რადგან თავის მოკლა მტკაცედა მაქვს გადაწყვეტილიო.

მაშინ ქიმერებმა ერთი საზარლად დაუსტყინეს და სიტყვა კაზმული მწერლობის ბინა თვალის დახამხამებაში გადასხეფერდა: თვალის მომკრეღმა სინათლემ გააკაშკაშა იქაურობა, იატაკი ხალიჩებით მოიფინა, გაისმა მხიარული ხმა საკრავებისა, საჩნდნენ მშვენიერი ნახევრად ტიტველი ქალები—და დაიწყეს ვნების ამშლევი როკვა, ჰაერი ნაირ ნაირ საკმელების სუნით და საუცხოვო ღვინის გურნელებით გაიჟინთა...

— ჰხედავ ამასო? — ჰკითხეს ქიმერებმა: ეს ყველაფერი შენი იქნება, უკეთუ ერთ პირობას შეასრულებო.

საბრალო მწერლობას საღერდელი აუშალა ამ საოცარმა სურათმა. მშვიერი იყო სანახევროდ და სიზმარშიაც არ უნახავს ამგვარი განცხრომა და მხიარულება.

— მაინც რა პირობასო? — ჰკითხა.

— შენი სახელი უნდა დავვითმოო, — უპასუხეს ქიმერებმა და ახითხითდნენ.

— როგორ თუ ჩემი სახელიო?

— ისე, შენი სახელიო... შენი სახელი ჩვენ გვექნება ხელში, შენ კი ყოველ დღე აქ ივლი, ამ მშვენიერ დარბაზში: სკამ, სვამ და მიიღებ—ათი ათას თუმანამდე თვეშიო.

— ხომ მაინც უნდა მოვქდარიყავიო, — გაიფიქრა მწერლობამ: სიკვდილსა სახელოვანსა სიკოცხლე მიჯობს ნაძრახიო, — და მიჰყიდა ქიმერებს სახელი...

დღეს ქართული მწერლობა უწინდებურათ გამხდარი და გაყვითლებული აღარ არის, თვალსაჩინოდ მოჯობინდა ფიზიკურად, ფულიც კარგა ბლომად აქვს, ოღონდ ენა კი მაინც ვერ გაუტეხია და ისევ ჩლოუნგი აქვს.

— ბარემ მომკვდარიყო, — ამომბენ ეხლა მისთვის: უწინ პატიოსანი მაინც იყო და ეხლა კი სახელი გაჰყვიდა... სახელი და სული კი მწერლობისათვის ერთი და იგივეა....

თავუნა.

გასათხოვარ ქალს.

ქალი ვიდრე გათხოვდება, უნდა ჰყავდეს გამწურთნავი, იმან უნდა ჩააგონოს მას ცხოვრების კარგი, ავი.

ერთი უნდა ხელოსანი — კიბე შექმნას უხილავი, ესეთივე უჩინარი აღვირ ლაგამ მოსართავი.

სხვა მზითევი არა ჰქონდეს — ეს კი უნდა იყოს სრულად, თორემ როცა გათხოვდება, ქმართან წავა გულ-ნაკლულად, კიბე იგი უხილავი ქმარს მიადგას მეგობრულად და ზედ თვითონ აიბაროს, კისრად დასჯდეს დაფარულად.

ეშმაკურად უაღერსოს, ქმარმაც შორთოს საუბარი, პირს ლაგამი გაუყაროს, დაიმონოს ამით ქმარი.

საითაც სურს თავი უკრას, არბენინოს მთა და ბარი, ქპრის აშკარად იყოლიოს გულის ტოლი მეგობარი...

განჯის-კარელი.

მცირე მოსაზრებანი

დიდ საკითხზე.

ღრმადა მწამს, რომ ჩვენს ქვეყანაში ბევრი რამის გაკეთება შეიძლება, უკეთესად აღამიანი საქმეს გულწრფელად და ხალისიანათ მოეკიდება.

ეს ჩემი რწმენა ერთხელ კიდევ დამტკიცდა, როცა თვალსაჩინოდ დავინახე ზოგიერთი კეთილი ნაყოფი ჩემი პირველი წერილისა „თამალობაში რეფორმების შესახებ“.

ქნი პუწკიას დღეობაზე თებერვლის 9 პატივ-

ცემულმა რაქდენმა პირველი თხოვნისათნავე იკისრა თამალობა და, რაც უფრო საყურადღებოა, პირველი სადღეგრძელო პირდაპირ ჭურჭლის სარეცხი ბადიით დაიწყო. რასაკვირველია, აქედან ჩვენს იდეალებამდე ერთობ შორე მანძილია, მაგრამ მაინც გესიამოვნება აღამიანს როცა მცირეოდენ წინსვლას დაინახავ და თანაც გრძნობ რომ ამ წინსვლაში შენც წილი გიძევს.

„ქამა მადაში მოდისო“ უთქვამს ძველათ ვილაც ფრანგ მეცნიერს და არა გვაქვს საბუთი მის ამ თქმაში არ დავეთანხმეთ. თავდაპირველად, როცა თამალობის რეფორმაზე წერა განვიზრახე, მიზნათ მქონდა ეს კითხვა ერთ საფუძვლიან წერილში გამერკვია. საქმის დაწყებისათნავე ვგრძენი რომ ერთ წერილში კითხვის გარკვევა ყოველად შეუძლებელი იყო და საკითხი ორათ გავყავი. მაგრამ, რაც უფრო ღრმათ ვუკვირდები ჩემ ჰიერ ხელწამოკრულ საკითხს, მით უფრო იშლება ჩემ თვალწინ მისი სიდიადე, სირთულე, სიმძიმე და მრავალფერობა. მე რასაკვირველია აზრათ არა მაქვს სავესებით ამოვსწურო აღნიშნული საკითხი, მაგრამ ეხლავე ვატყობ, რომ რისი თქმაც მსურს, იმისი მოთავსებაც შეუძლებელია ერთს წერილში.

ამ მოსაზრების მიხედვით ვადავსწყვიტე შეორე წერილშიაც საკითხის ზოგად მხარეებს შევეხეო და კონკრეტული ჩემი წინადადება რეფორმათა შესახებ მესამე წერილისათვის გადავსლა.

სუფრის გამგეს საქართველოში ორი სახელი აქვს: თამადა და ტოლუმბაში.

პირველი მათგანი უფრო გავრცელებულია აღმოსავლეთ საქართველოში, ხოლო მეორე კი დასავლეთში. აღსანიშნავია ის გარემოებაც, რომ ინტელიგენტურ წრეებში პირველი სიტყვის ხმარება სქარბობს.

არა ერთი და ორი საღამო შევსწირე მე ამ სიტყვის წარმოშობის გამორკვევას, მაგრამ საბოლოოთ გარკვეული ჯერაც არ მგონია ის. დაახლოებით კი მისი შინაარსი ჩემის აზრით მიღებული უნდა იყოს.

ვინც დაკვირვებით აღვენება თვალყურს თამალობის საქმეს ძველათ და ადვენებს დღესაც, ის დამერწმუნება, რომ ამ თანამდებობაზე ირჩევენ (უფრო ძველად) ტრაპეზის წევრთა შორის ულონიერსსა და მძლავრ პირებს. ასეთები იყვენენ: ბლანოჩინები, დეკანოზები, მამასახლისები, თავად აზნაურთა წინამძღოლები, შენდევ მღვდლები, ხოლო დაბოლოს უბრალო მოქალაქენი. ყველაზე უკეთესი თამადა ის იყო, და არის დღესაც, ვინც ყველაზე მეტს სქამს, სვამს და მოილხენს. თამადას ზოგჯერ ჭკუაც სჭირია, მავალითად როცა ნადიმი დიპლომატიურია. მაგრამ

ბედნიერი მშობლები.



ანტანტის სახელმწიფოები. (ნაზის სიყვარულით დასტკერიან ახლშობილ ზავს) რა კარგი ბიჭუკეაა, ამას კი ენაცვალოს მისი მშობლები!..

უმთავრესი ღირსება თამაღისა, ზოგადი სიტყვით თუ აღვნიშნავთ, გახლავთ მამა; მამა ქამისა, მამა სმისა, მამა მზიარულებისა. აქედან ცხადია, რომ, რაც უფრო დიდი იქნებოდა ამა თუ იმ პიროვნების მამა, განსაკუთრებით კი მამა სმისა, შით უფრო სახელოვანი იქნებოდა თამაღა. პირველ ყოფილი ქართველი, ახლად ჩამოსული არაბატის მთიდან და მის კალთებზე დასახლებული, ცდილობდა მოეწაზა რაიმე საგანი ამ დიდი მამის აღსანიშნავად. არაფისთვის საკვირველი არ უნდა იყოს, თუ მისი ყურადღება მთამ მიიქცია, ვინაიდან ყველაფერზე დიდი ჰვენს გარშემო მხოლოდ „მთა“ არის.

ამგვარათ საუკეთესო სუფრის ჯფროსს უნდა ჰქონოდა მთა-მამა, ე. ი. მთის ოღენა მამა. მამა, რომელიც ნთქავს ყველაფერს, განსაკუთრებით კი ღვინოს, არაყს და სხვა სასმელებს.

ძველათ მასპინძელი საგანგებოთ იწვევდა ასეთი მამის მექონე პირს ზეიმში, ხოლო თუ საგანგებო პირი არ იყო მოწვეული, მაშინ დამსწრეთა შორის ირჩევდენ მას, ვისაც ყველაზე უფროსი, ანუ მთის-ოღენა მამა ჰქონდა. ჰვენის ღრმა რწმენით ამგვარათ წარმოიშვა პირველად სიტყვა მთამამა. მაგრამ ვინაიდან ქართულ ენას არ უყვარს სიტყვაში ორი ერთნაირი თანხმოვანი ნიშნის გაჩერება, ამი-

ტომ დროთა ბრუნვაში სიტყვა „თამადას“ პირველი „მანი“ ჩამოეცალა და დარჩა აწ ხმარებული სიტყვა „თამადა“.

მე კვლავაც განმიცხადებია და ახლაც საჯაროთ ვამბობ, რომ ჩემი გამოკვლევა არ მიმაჩნია უტყუარ ქეშმარიტად როგორც შენგელაისს — სველაფერი მის მიერ თქმული, და უკეთეს სხვა გინე უფრო მიზან შეწონილათ ახსნის ამ საჭირობოროტო სიტყვის წარმოშობას, მე დიდის სიამოვნებით მივიღებ მის განმარტებას.

სინონიმი თამადობისა, სიტყვა „ტოლუმბაში“ აშკარა თათრული შთამომავლობისა უნდა იყოს, ვის არ გაუფრთხილა მაგალითად მისი მაგვარი პირდაპირ სამხრეთიდან შემოქრილი სიტყვები: ყიზილბაში, უსტაბაში, ბოზბაში და სხვა. ამ რთული სიტყვის მეორე ნახევარი „ბაში“ ქართულად როგორც მოგვხსენებთ უფროსს, ანუ „თავს“ ნიშნავს. ჩვენ უკვე ვიცით, რომ ბევრს დაებადა, ბოლო უფრო მეტს კვლავ დაებადება, სურვილი ამ უკანასკნელ სიტყვაზე ააშენოს ახალი თეორია, აღნიშნული სიტყვის „ტოლუმბაშის“ წარმოშობისა. მართალია „თავი“ (რასაკვირველია ქალაქის) ხშირად ცნობილი თამადა არის, მაგრამ ეს შეხედულობა კრიტიკის პირველ შეტევისათანავე იმსხვრევა. მოგახსენებთ რატომ. ზერელე მოაზროვნე ავტორები საქმეს ღრმით ვერ უყვირდებიან, მასთან ერთად ისინი რუსულად ფიქრობენ და ქართულად კი მსჯელობენ ქართულ საქმეებზე.

ბატონებო, სრული სიმაართლეა, რომ სიტყვა „ბაშ“ ნიშნავს თავს, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ „თავი“ ამ მნიშვნელობით ქართული სიტყვა არ არის. ის თარგმანია რუსული „გოლოვა“-სი და მაშასადამე დასახული მიზნის საფუძველად არ გამოდგება. იმ „თავს“, რომელსაც რუსული „გოლოვა“ გამოსახავს, ჩვენ ქართველები „მოურავს“ ვეძახით. აქედან ცხადია, თუ რა ყალბ ნიდაგზე სდგანან ის პატიყცემული ჩვენი მოწინააღმდეგენი, რომელნიც სიტყვათა ამ აღრევაზე თავის თეორიებს ამყარებენ. ჩვენი აზრით, ეს საკითხის აბუჩათ აგდებას ნიშნავს და ფიქრობთ ქართველი დემოკრატია დღეს იმდენათ მომხადებელია, რომ ამის ნებას არავის მისცემს.

უკეთეს ჩვენი მოაზრება მართალია და სიტყვა „ტოლუმბაში“ თათრული შთამომავლობისა არის, მაშინ ცხადზე უცხადესია, რომ ეგ სიტყვაც ძველთა ძველი უნდა იყოს; სახელდობრ იმ დროინდელი, ვიდრე წინასწარ მეტყველი მაჰმადი დაიბადებოდა, ანუ უკეთ ვსთქვათ იმ დროინდელი, როდესაც თათრებიც ქართველებისავეთ პირნათლად სვამდენ ღვინოსა და მაშასადამე თამადასაც საჭიროებდენ.

მიუხედავათ იმისა, რომ სიტყვა ტოლუმბაში სიმღერას (ტოლუმბაში ჩანჩალო, და სხ.) უფრო უხუბება, ვიდრე თამადა, მე მაინც მოვითხოვ ის განწირულ იქნას ხმარებიდან და ქართულ სუფრას განუყოფელად დაეპატრონოს სიტყვა თამადა.

გშმაკი.

ს ტ ა ნ ს ე ბ ი

1

ციმბირიდან მონატყორცნი
ფილისის სუსხავს ყინვა ცივი,
საყვარელსაც ვერა ვკოცნი
ცხვირზე მაზის ვერცხლის მძივი;
თუ გინდ გყავდეს ცოლნი ოცნი
და საყვარლად ასი ქვრივი —
—ვერ გათბები მიინც, ვერა...
თუ არა გაქვს ცხელი კერა.

2

რუსთაველის გზატყეცილსა
ჩამოუვლი ყოველ დღესა;
ზაღზიებს გაწყობილსა
ვხედავ ორთავე მხარესა;
„ტორტ-ტრუბოჩკებს“ დაცხობილსა
„მოკოლადს“ და, „მონაპასესა“ —
—ამეშლება საღერღელი...
ვერ კი მიმიწვდება ხელი:

3

როგორ თუ არ გადირევი:
შენ გშია და სხვა კი ძღება...
მკალი ქიშიში განარევი
პასკასავეთ გენატრება.
საღეჭავად არ გაქვს კევი,
პირში ნერწყვი გავირება...
წყეულ იყოს ეს ქანქარი,
ჟველგან სჭარბობს, აქ არაოი.

4

ფაიტონს და ავტომობილს
ვერ შეუვლი ქუჩებშია;
შიგა ხელავ ანტონ ძოზილის
ფული რომ აქვს ყუთებშია,
ფრაკ-ღალსტუქში გამოწყობილს,
ათასს ხარჯავს წუთებშია.
მას ბინად აქვს ორიანტი...
ვახლავთ იგი სპეკულიანტი.

5

სულ სამოცი პროცენტები
მოუმატეს ჯამაგირსა;
ეგ მითომ რომ „სლოუაშჩიკი“
ცუდ დღეშია — ჭამა სჭირსა...
ცოტა ჰამით ვერ გაძღები
დღეში სჭამ ჰურს საშა გირსა.
სამ გირ ჰურსა კი უნდება,
დღიურ ქირად რაც გერგება.

6

ტრამვაივ, აწ მშვიდობითა,
შენში ჯდომა არ შემხედება!
(მხოლოდ კვირა დღეობითა
შენში ჩაეჯდენ შეიძლება)

ცუდი დროება.



ლომი. დასწყევლოს ღმერთმა! ისეთი დროება დადგა, რომ ლომის პატიოსანი ლომიც გამამბეცოს.

დიდი შრომით და ოფლითა
აღვლის შოვნა არ სჭირდება.
ვერ გაღვიხდი ექვს მანეთსა,
ვერ ვიყიდი შენს ბილეთსა.

7

დღენი ჩვენი ცხოვრებისა
მთლად გამწარდა, როგორც ქინა
(სიანს ეგ არის ნება ღვთისა)
არც მაქვს პური, არცა ბინა,
მარა ცქერა ამ ქვეყნისა
მაინც რომ არ მომეწყინა?
მომავალი მასულდგმულებს,
ის მომიჩენს გულის წყლულებს.

ისელი.

ჩემი ღუბილი.

კაცო, რატომ აღარაფერსა სწერ, რატომ სდუმს
შენი ქნარიო? ხშირად მესმის ნაცნობ მეგობართა
საყვედურები.

აი ჩემი პასუხიც:

ხშირათ ღუმალი ყოველს მკერმეტყველებაზე
უფრო მკერმეტყველია. მაგონდება კრილოვის მზა-
რელი და კატა. მზარეული უზაროთ ჰქუხდა, კატა
კი მკერმეტყველურათ სდუმდა და ანადგურებდა შემ-
წვარ ქათამს. ეხლა როლები რამდენიმეთ შეიცვა-
ლა; კატებს აღგილი ზოგან მზარეულებმა დაიჭირეს
იმ განსხვავებით, რომ ეს უკანასკნელნი სამზარეუ-
ლოში დღემდის არავის უნახავს. დღეს კი. აბა
რა სჯობია შემწვარს ქათამსა და ხაჭაპურებს! უნე-
ბლიეთ მაგონდება ერთი „ტიბი“: ძველს დროში
ეს „ტიბი“ საუცხოვოთ ეგუებოდა ძველს წესწყობი-

ლებას, თბილი ადგილი ექრა და ქვეშ მტკიცე ნიადაგსაც გრძნობდა. ჩვენს დროსაც ეს „ტიპი“ საუცხოვოთ შეეგუა და ბებერი არშეიყის როლს ისე თამაშობს, როგორც დახელოვნებული არტი-სტი. მას ისევ თბილი, ისევ მტკიცე ნიადაგი!..

დიდ არს, ალლახო, საქმენი შენნი!.. მაგრამ ალლახი აქ აბა რა შუაშია? „რაც გვირს ჩემო დავითაო, ყველა შენი თავითაო“, ამბობს ხალხური ანდაზა, რომელსაც, თუ არ გვადები, ნეტარ ხსენებუ-ლი სოლომონ ზურგიელიძეც სავესებით ეთანხმებოდა.

აბა კარგათ დავუკვირდეთ, თუ ეს მართალი არ არის; რათ ვსდუმებარ, მაგალითად, კე? კუთხეში მიგდებული ჩვარი ხომ არა ვარ? რატომ ხმას არ ამოვიღებ? რატომ არაფერსა ვსწერ? იქნება ჩემმა სიტყვამ ვისმე რაიმე არგოს? იქნება ვისმეს კიდევ ავნოს?... უწინ, როცა წერას მიკრძალავდენ, თითოეული სიტყვისთვის, ვინ იცის, რა სასჯელი არ მომელოდა, ვსწერდი, ოხრათ ვსწერდი. დღეს კი, როცა არაფერს ვსწერ, პირიქით, მეხვეწებიან კიდევ: „სწერო!“-მეც „დავითას ჯორიით“ გაფრეხებულვარ და ენას არა ვსძრავ. შე ოხერო, დასძარ ეს გასაქვავებელი ენა! სთქვი, რაც სათქმელია: საქები აქე, საძაგებელი აძაგე, ერთი სიტყვით, ილაპარაკე სიმაართლე, აამოძრავე ეს მკრელი და მძლეთა-მძლე იარაღი!..

ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ ექნება თუ არა გასაყალი მართალ სიტყვას? „მართლის მოქმედს ცხენი შეკაზული უნდა ჰყავდესო“ ამბობს ანდაზა და ვინაიდან შეკაზული ცხენის ფასი დღეს 15-დან 20 ათას მანეთამდე აღწევს, ხოლო მე კი ხშირად მქადის ფასიც მენატრება, ადვილათ წარმოიდგინებ ჩემთვის რა სიძნელეს უნდა შეადგენდეს თუნდაც ერთი მართალი სიტყვის თქმა.

ამასთან სოლომონ ზურგიელიძე არა ნაკლებმა მამულიშვილმა და ჩვენში კარგათ ცნობილმა საზოგადო სევატრო სამარწველო ასპარეზზე თავჩენილმა მოღვაწემ, ურიცხვი შესანიშნავი, ფორიზმების, ნაკვეთების და სხვათა ავტორმა, ლარვინტი ცხვირგრენიაშვილმა, ხშირათ იცის ხოლმე თქმა: „თუ კაცს პოლიტიკური აღლო არ ესმის, ის არა თუ კომიტეტის, პარტიის უბრალო წევრათაც არ ვარგაო“-და განა შეიძლება არ დავეთანხმოთ, და ისიც სავესებით, ამ პატივცემულ გვაშს?!. ამ პატივცემულ აზრში პატივცემული გვაშისა იორტის ოდენი იქვის შეტ ნაც კი შეუძლებელია. მართლაც და თუ რომ კაცს „პოლიტიკური აღლო არ ესმის“ ანუ თუ კაცს სმენის პოლიტიკური აღლო არა აქვს (მით უფრო თუ საღი მხედველობა, ე. ი., პოლიტიკური შორს მკერტელობა ბუნებას მისთვის არ მიუცია) მაშინ ის წარამარა დაიწყებს მართალი სიტყვის როშვას და სულელის სახელსაც ადვილათ დაიმსახურებს. შეიძლება ეს აღნიშნულ

პირს სიგულწფელითაც მოსდიოდეს, მაგრამ მეტი სიგულწფელე მეტი სისულელეც არის. ავილოთ მაგალითად, ბავშვები. რისთვის იმსახურებენ ეს ჩვენი ცხოვრების ყველინი ხშირად სულელების სახელს დიდებისაგან? იმიტომ მხოლოთ, რომ თავიანთ სიგულწფელით ისინი ხშირად ისეთ სიმაართლეს წამოიძახებენ, რაც მოზრდილებს სირცხვილის ოფლს დასხამს ხოლმე. მხოლოთ შემდეგში, როცა ბავშვები წამოიზრდებიან, ანუ „ქუაშიც ჩავარდებიან“ ე. ი. როცა ჰკარგავენ სიგულწფელს და ითვისებენ იმას, რაც პატივცემულ „ცხვირგრენიაშვილის“ სიტყვით, „პოლიტიკური აღლოს სმენა“ ანუ სმენის პოლიტიკური აღლო ეწოდება. ხოლო რაც აქ სმენაზეა ნათქვამი, ლაპარაკებდაც იგივე იგულისხმება სავესებით. და აი სწორეთ ეს პოლიტიკური აღლო გვავალებს ჩვენ ვილაპარაკოთ ხშირათ არა ის, რაც ჩვენი გვსურს, არამედ ის და ისე როგორც ამას მოითხოვს თანამედროვე პოლიტიკური წამი, ანუ როგორც მეცნიერებაში მიღებული, „პოლიტიკური მომენტის“ მაგრამ სანამ პოლიტიკური მომენტის შესაფერ რასმე იტყოდენ, ხომ კარგთ უნდა გაითვალისწინო ეს მომენტი? მოგვსენებათ რომ დღეს აწონ-დაწონვისა, თუ გნებავთ გაზომვისაც და შეფასების საკითხში არ სცდება მხოლოთ სპეკულიანტი, უბრალო მოქალაქე კი დიღხანს უკვირდება, დიღხნს უფიქრდება, ერიდება ნაჩქარევს პასუხს და ნაჩქარევს შეცდომას. ეს ოხერი პოლიტიკური მომენტი კი არ იცდეს, ის ჩვენი „ბებერი არწივის“ თქმისა არ იყვეს მეტად სწრაფად იცვლება. ამ სისწრაფეს ჩვენ ვაჩვენებთ მხოლოთ პოლიტიკურ მომენტებისა და სასუ-სათო განყოფილებს ს გამეთა ცელილებაში. დიხ, ისე სწრაფათ იცვლება ეს რაღა, პოლიტიკური მომენტი, რომ შენ ჯერ კიდევ ერთით გამოწვეული დუმილისათვის ვერ დაგისხვევია თავი, რომ წინ უკვე მეორე პოლიტიკური მომენტი წამოგეჭმა. მეორეს მალე მესამეც მოჰყვება... შენ კი სდუმხარ ზევით მოხსენებულ „დავითას ჯორიით“ და შენც სდუმხარ წყალ დაწმალ წისკვილივით.

მაშ, ნუ მიშლი ამ ტკბილს დუმილს, ჩემო მკითხველო!.. ნება მიბოძე აქ მაინც მოვისვენო.


— „ინებე!“ მესნის გაოცებული მკითხველის დამცინავი ხმა: „ინებე სანამ დეკრეტი წისკვილების მონოპოლიზაციის შესახებ ჯერ არ გამოუციათ“

— რაო?.. დეკრეტიო?!. ვი თუ ასეთი დეკრეტი მართლაც გამოიცა. მაშინ კი მშვიდობით, ჩემო ტკბილო ოცნებაე!..

მაშ... მაშ ისევ ისა სჯობია, ამ თავიდანვე ვიღრიალო „დელის წისკვილივით“. აქაო და.. „ფქვავსო“, იტყვიან მაინც.

მაშ, ნურას უკაცრავათ, ჩემო პატრონაო მკითხველო, თუ დღეს იქით მალ მალე გამოგეჭიო წინ და

ქვორუმი.



„ემშაკის მათრახის“ რედაქცია კვლავ ენერგიულათ განაგრძობს ძიებას ქვორუმისას, რომელიც აგრე რიგათ უშლის ხელს, ჩვენი დამფუძნებელი კრების მუშაობას, გამოირკვეა, რომ აქ, სხდომის დარბაზში, სადაც სხედან პრეზიდიუმი და მთავრობის წევრები, ქვორუმი არ არის.

ჩემი უშნო ღრიალით სმენის აპარატი შევიშფოთო*)! რაქნა, შენ თვით მიძულე ასე მოკეტულიყავ: რაც გვირს ჩემო დავითო, ყველა შენი თავი-თაო!..“

ანისიმე.

საამდროვო.

ემშაკო დიღო ჯოჯოხეთისაე, ჩვენაც გვიწვდინე შენი მათრახი, რომ ავლაბრისა ჩარჩ-ვაქრუკანებს დააწყებინო შიშით ცახცახი.

*) მადლობა ღმერთს!! ემშაკი.

თორემ ისინი ასეთ ღუბქირ ღროს კიდე უმეტეს რევენ, —სწეწავენ, და მუშა ხალხის ოფლით მონაგარს ხელით აცლიან, ჯრცხვალ კენკავენ. ვინ მოსთელის იმას, რასაც სჩადიან, შვგროვილი ყავთ უკვე პარტია, გუშინ რომ ყველას კაცი ვევეგონა, დღეს ჰხედავ ისიც სპეკულიანტია!.. შიში არა აქეთ, არავის სცნობენ, მხოლოდ საკუთარ თავსა არგია, ნიხრი სურსათზე და ამგვარები ამა პირთათვის მეტი ბარგია.

ქვორუმი.



აქ კი, საუზმის მისართმევე ოთახში, ქვორუმი ყოფილა. ასე განაცხადა 'კრების ერთმა წარჩინებულმა წევრთავანმა. ცხადია, ქვორუმი პრეზიდენტზე და მთავრობაზე უფრო დიდი კაცი ყოფილა.

ფასთა ხელოვნურ—ზრდა-აწევაში
 დამერწმუნები ტოლი არა ყავთ,
 ყოველ გვარ ბოროტ-მოქმედებანი,
 როგორც მათ უჯობთ, იმ რიგათ გაპყავთ...
 მოქალაქე კი ხედავს ამაებს,—
 მაგრამ შიმშილით რაღა ეთქმება,
 ფასთა დღიურ ზრდას, შეურაცყოფის,
 ძალაუფლებურ ის ურიგდება.
 ვიცი, რომ მეტყვი: „რას აკეთებსო
 ადგილობრივი ამ დროს მთავრობა,
 (კითხვისთვის მადლობთ. ღმერთმა გიკითხოს
 და ნუ მოგაკლოს მისი წყალობა!)
 ჭე არის ისე ქეიფის გვართ.
 ან კი რაღა ქმნას ამაზე მეტი,
 ნეიტრალიტეტს იცავს ჩარჩებთან,
 ვერ ვნახეთ მათგან ჩვენ განამეტი.
 იონჯი.

მთავარი სახელოვნოები

ბანცხადების დასაზი.

მეორე განცხადება:

დგოს და მთავარ სახელოვნოების მუშა-მოსამ-
 სახურეთა კავშირის კულტურა-განათლების კომი-
 სია აცხადებს საყოველთაო საყურადღებოთ, რომ
 მან უკვე მოაწყო ჩინებული საყვირი ორკესტი
 (духовой оркестр) კავშირის წევრებისაგან და უთ-
 მობს დასაქირაველათ შედევითიან ფასებში სხვა
 და სხვა ორგანიზაციებს.
 ორკესტრის მოსმენა შეიძლება ყოველდღე
 დღის 8—3 საათამდე რკინის გზის საავთმყოფოს-

თან დიდი ხნის გახსნილ სამშობლიო განყოფილების გვერდით.

კულტურა-განათლების კომისია.

მესამე განცხადება.

დიდად გაბედნიერებული თქვენი ამგვარი ყურადღებიანი მოპყრობით და აღფრთოვანებული იშვიათი დაფასებით ჩემი ოცდა ხუთი წლის სამშობლოსადმი ერთგული სარწმუნოებისა, მოგიძღვნით თქვენ სახელისნოს პროლეტარია ჩემს უღრმეს მადლობას და ფიცს ვდებ თქვენს წინაშე, რომ სანამ მე ჩემ პოსტზე ვიქნები, ერთგულად დაეცე ყოველსავე თქვენს სამართლიან მოთხოვნისადმი.

სამექანიკო დარგის ბუზგალტერი მუშლაძე*).

ცოცხი.

დღეშეშები.

ქარელი. გორის საპაზრო ერობის საექიმო-სანიტარო გამგის განკარგულებით მოხდა მთელს პაზრაში მკვებართა აღწერა. მხოლოდ ქარელში აღმოჩნდა რვა მილიარდი ჯიშისანი მოზოლშევიკო მკვებნარი. სხვა სოფლებში მოსალოდნელია მეტი სიმდიდრე აღმოგვაჩნდეს.

ლოხოზა.

საგარეჯო. ადგილობრივმა ადმინისტრაციამ და სახალხო გვარდიის საოლქო შტაბმა რეკვიზიცია მოახდინა ყველა მეარღნეებისა, მეფოლებებისა და გარმონიჩეებისა. რეკვიზიცია აღნიშნული დაწესებულებანი მისი ყოველდღიური საქიროებით ასაბუთებენ.

საგარეჯოს თემის ხმოსნები პირდაპირ ეშვაკი ხალხი გამოდგა. მათ გაიგეს ქართული ანდაზა:

„ახალი ცოცხი კარკათ ჰგვის, ძველი მოატანს ქვიშასაო“ და თემის გამგეობას ყოველ დღე სცვიან.

განზრახულია: ადგილობრივი აფთიაქი და სოციალისტ ფედერალისტთა ბიურო გადატანილი ქმენს სასადილო „მარიფათში“, ხოლო გვარდიის შტაბი და სოციალ-დემოკრატების ბიურო სასადილო „ქურხულში“.

ქინქლა.

კახათი. (სამეგრელო) იმდროს, როცა ცნობილი ლექტორი პავლე ჩახაია უხსნიდა ხალხს თუ რამდენი მილიონი ბაჭი დაადო მთავრობამ კიბოებს, ქიანქველებს, ბიკებს და სხვა მწერ-ქვეწარმავლებს ორატორს გული შეუწუხდა და 47 გრადუსი სიცხე მისცა. ხალხს ძალიან ეშინოდა ტუინის ანთებისა,

* ეს განცხადება პასუხია იმ ადრესის, რომელიც მართლაც მთავარ სახელოსნოების შენებაზე მოქმედებს. იხ. მეშ. მათრ. № 9.

მაგრამ სასწრაფოთ მოყვანილმა ექიმმა საზოგადოება დაამშვიდა. ტუინის ანთების მხრივ პავლე ჩახაია თურმე უზრუნველ-ყოფილი ბრძანდება.

ჭინკა.

შორაპანი. აქ გავრცელდა უცნაური სენი. ის უმოთავრესათ რკ. გზის მებლიეთებს უჩნდება. მან უკვე იმსხვერპლა ზესტაფონში ბ-ნი ცქიტვილი, ხოლო ხარაგაულში თათევილი. სენი ერთობ გადამდებია და როგორც ვფიქრობთ ფულის ქუქყით ვრცელდება. რათა სენი მგზავრებზედაც არ გავრცელდეს, მებლიეთების ნაწილმა გადასწყვიტა, ხურდა არ დაუბრუნოს მგზავრებს. მდგომარეობა საშიშოა.

მგზავრი.

ქუთაისი. მექრთამეობისათვის დათხოვნილმა მოლარემ, ს. ჩიქვინიძემ. რკ. გზ. კავშირის ახალ გამგეობას თხოვნა მიართვა, სადაც სხვათ შორის სწერს: „თუ სამსახურში არ მიმიღებთ, თავს მოვიკლავო“ მიუხედავად იმისა, რომ გამგეობამ მიღებაზე უარი უთხრა, მას თავი ჯერეც არ მოუკლავს. გთხოვთ გამაგებინოთ რა არის ამის მიზეზი.

იქიდანვე. რკ. გზის ექიმ ნახაროვს სრულეობით მოცალობა არა აქვს. ამის გამო გარდა პარასკევისა, მან მოსამსახურეებს ავთ გახდომა აუკრძალა. ამ განკარგულებას არ დაემორჩილა ტუინის სადგურის უფროსი აფრიდონიძე და ჯინაზე ორშაფათს გახდა ავთ. ურჩ მოსამსახურეს თავისი დაეშართა... იგი მესამე დღეზე გარდაიცვალა.

კ. მწვანეყვავილელო.

ბანძა. ადგილობრივი მილიციის უფროსმა მეოთხედი ნაწილი სოფელი ბანძისა ჩაყაპა, მაგრამ მაინც მქლედ დარჩა. ბანძის ცნობილმა მეცნიერებმა ჯ. ხურცილავამ, ი. ფაღავამ, მ. კაპარავამ აღექსანდრე ვაბუნიამ და ვ. ხანდარავამ ეს მოვლენა ფარაონის სიზმარს დაუპირდაპირეს და ერთხმად აღნიშნეს მისი გამაფრთხილებლობითი მნიშვნელობა მოსალოდნელი შიმშილობისათვის. კატასტროფის თავიდან ასაცილებლად გამოცხადდა ბანძის დანარჩენი ნაწილის მოწოდება.

ცივანი.

ოზურგეთი. დამოუკიდებლობის გამოცხადების შემდეგ ქალთა გიმნაზია საერთაშორისო უფლებებზე ლექციებს უსმენს ყრილობის თავმჯდომარეს მ. ხ—ძეს და მომრიგებელ მოსამართლეს ს. კ-ის. მსმენელთა რიცხვი იმოდენია, რომ შინაცვერ იტევს.

ტიბეტიდან გადმოფრინდა მკურნალი არატორი პ. ბ-ძე. აქიმობაში და ღრმა მოხუცების სასაფლაოზე სიტყვების წარმოთქმაში გასამრჯელოს არ იღებს. სხვა პირობებშიც კი ხელ მისაწვდომია.

ეროზამ დაიკავა 12 თავისუფალი და 24 მდგურებიანი სახლი. კიდევ ესაქიროება ერთი სამსართულიანი სახლი თავისი „მომამის“ რედაქციის მოსათავსებლად.

საბჭომ დახურულ კარებში „უსაქმო“ ღორებს

სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა, რამაც ამ პატი-
ოსან პირუტყვთა ევაკუაცია გამოიწვია. ისინი ბა-
თუმისაკენ მიისწრაფიან.

კანიკულებზე წასული მასწავლებლები უკვე
დაბრუნდნენ და შეუდგნენ. (დამახინჯებულია)...

წყნარი.

სურვილის „თანხმით“

გერმანელ გლეხებს როცა სტანჯავდნენ
(ბატონ-ყმობის და მონობის დროსა),
მაშინ გლეხები ძალზე გამწარდნენ,
მათ აჯანყების აღმართეს დროშა.

და შეებრძოლნენ ბატონ მჩაგვრელებს,
რომ მონობიდან ეხსნათ თავიბი,
მაგრამ შეგნება რადგან არ ჰქონდათ,—
მწარეთ დამარცხდნენ საცოდავები.

სადაც ვინ იყო მუქთახორები,—
წამოესია აქ გლეხებს ყველა...
გმინავდნენ გლეხნი; ხსნას ღმერთს-და სთხოვდნენ,
მაგრამ არ სჩანდა არც ღვთისგან შეველა.

ეურცბურგის მთავარ-ები კოპოზი
გლეხების დასჯით ხარობდა ღიდათ;
თან წ-ველა-კრულვას უძღვნიდა გლეხებს,
ეს კი გლეხ-კაცებს ძლიერ უკვირდათ.

თუ ეპისკოპოსს მიხნათ ის ჰქონდა,—
ხალხი ექცია ქედ-წახრილ მონათ—
მუქთა ხორების საწველ-სახენდათ,
ეს ასე გლეხებს როდი ეგონათ.

მათ ღღემდე მთავარ ეპისკოპოზი
ღიღ წმინდა კაცათ წარმოედგინათ,—
ღღეს რომ შეხედეს მის საბავლობას,—
არ მოელოდნენ, ძლიერ ეწყინათ...

და გლეხურისა გულუბრყვილობით
მას შეუთვალეს: „რას ეხედავთ ამას,
უსამართლობის მხარის დაჭერა
როგორ შეშენის სულიერ მამას!!

რა-კი ასეთა: დაგვიწყებია
სამართალი და ღმერთი—გამჩენი:
საწყლებს სჩაგრავ და მღიღრებს ემხრობი,—
თვალთ დანახვა აღარ გესურს შენი!!!“

ეპისკოპოზმა ამის პასუხათ
სთქვა: „თუ დანახვა აღარ გსურთ ჩემი,
მე შეგისრულებთ მაგ სურვილს მალე,
მაგისთვის ღიღ ფიქრს არ მივეცემი!!!“

ეს სთქვა მუქარით... და ჯალათებთან
საქმეც გაჩარხა ძალიან ჩქარა:

ამ ლექსის სიუჟეტი აღებულია ბორნეს თხზულები-
დან: „გლეხ-კაცების ომები გერმანიაში, რეფორმაციის
დროს.“ ნათარგმნი ნ. ანტონოვისა. იხილეთ „კრებული“
მესამე წიგნი გ. წერეთლის და აბნ. გამოცემული 1871 წ.
ლექსის ავტორი.

საწყენ სიტყვების შემომთვლელ გლეხებს:—
ოთხმოც და ხუთ კაცს თვალი დასთხარა.*)

და თან დაცინვით უთხრა: „რადგან თქვენ
ჩემი დანახვა აღარა გსურდათ,—
აწ თქვენ ვეროდეს ვერ დამინახავთ...
რაც თქვენ გინდოდათ ხომ აგისრულდათ?!!“

ფონ ტეფო.

ფეხზე ვაჭრობა.

(გურული სცენა)

არა!... რეიზა არ მომცა ღმერთმა მე რამეის
შნოი?!. მაინც, რა ჩემი საქმე იყო ფეხზე ვაჭრო-
ბა? რაც დევობადე, მას მერე სულ მიწას ვფუგნი,
ყანჩასავით მაქ წაგძელებული კისერი მიწაში თო-
ხის ბაყუნით, მარა რუმ შემოგჩიდება ეშმაკი და
შეგაცდენს, იგია... ფეხი და კისერი მოსტება მამა
ზეციერმა ჩემს კელასიას, რავა იმან მე შემიჩთა და
გაღამაცდინა კაცი..

შემომიჩთა ჩემი კნენია კელასიე, არ გამართვა
საშველი, ავღვეთ და გადაესახლდეთ გორედში.
აქანე, მისღემში ვაგღვივართ მარა რა სიკეთე დე-
გვეყარა, რას უყურდეთ, ამ გამოყრუებულ მუხტრო-
ში, როცა სულ ყველაყანაი გორედში გადასახლ-
დენ.

ქალო, ნუ შეგიყდები ფხრებში ეშმაკი, რის
გორედში, რა გორედში იქინე შენი ნაგზვითი სახ-
ლები და იმენია მაქ თუ სა მიშობ მეთქინ...

შენ თუ ვარგოდე, აბა რა მიჭირს, შენ თვა-
ლებ დასაფსებო, გეიხედე ქვეყანაზე რა ხდებ:
ყოლი კაცი გაკეთდა, ვინც ვარგებული იყო, ყვე-
ლაი გამდიდრდა და ჩვენ რალა სხვაზე ნაკლები
ვართო? ყარსუმეს ბიჭმა კარქიამ სახლები იყიდა
თფილისში, იქინა წააბანა მისი დაფრუშენული
კნენია ალვასიე. ამირანეს ბიჭმა ელიშულამ ღუ-
ქანი გააღო ქალაქში და პირველი გილდის კუბე-
წი გამხდარა... ოლიმეს ყაფლანე ოტკას ზიდაეს
საცხა და იმდენი რამე მოალოვა შინ რომ თვითან
არ იცის იმის ცოლმა ჯაჯიკამ—რა აქ და რა აც-
ვია..

შენ თვალბ დასაფსებო, რუმ გაგვირა ტანზე
ტყავი თლად ყველს, რუმ გაგშიშვლდით, აგრე
სასიძიდეც მიდგა ყუაზე, მალე გამეიხინკება, რას
შობი, რას აპირობ? ასე ძალსავით ცხოვრება
აღარ შემიძლია მე მეტი არა...

რუმ უუწყო იღანქალა და იღრინა, იღრინა და
ბოლოს უწყო ზღუქუნეი და ტირილი,—ქე შემე-
ცოდვა მეც, მართლა მე რომ წამომყვა ერთი კი
ცხოვრება არ უნახავს. შემეცოდვა და უთხარი:

ნუ გეშინია ქალო, კელასია, სხვაი თუ ვეფერი
მუახერბე, ფეხზე ვაჭრობას მაინც კი დევიწყდეთ,
(ფეხი რეიზა არ მომტყდა მე მაშინ.) სანამღი სული

წინაღ.



ფული ბაზარში პატარა პორტმონეთი მიჰქონდათ, ხოლო ნაყიდ სანოვაგეს დიდ კალათაშიაც ძლივ ატევდენ.

ეხლა.




ფული ბაზარში დიდი კალათით მიიქვით, ხოლო ამ ფულით ნაყიდ სანოვაგეს პატარა პორტმონეთშიაც თავისუფლად ათავსებენ.

ჩვენი საზღვრები.



დარაჯი. დღიდან ლამიანა აქა ვღვევარ, საზღვარზე, ძილი არა მაქვს და მოსვენება, ასი თვალი მამბია და აბა რა ჯანდაბა უნდა გამეპაროს ბათომისკენ.



დარაჯები. არავინ იფიქროს, თითქო ჩვენ კანონის წინააღმდეგ ვიქცეოდეთ: მართალია ჩრდილოეთიდან ჩვენს ქვეყანაში ხალხის შემოსევა აკრძალულია, მაგრამ თუ კი შიშველსა და გაყვლეფილს გავატარებთ თბილისამდე ხომ მაინც ვერ მიადწევს! გზაში ამოძვრება სული!

მიღვანა ამ გამხმარე ყაზახს, ვიბოდილაღებ, დასვენება მიინც არ მიწერია.

მეიბრუნა გული, ამეიხოცა თვალები და მითხრა:

ბეჩა მაი, კაი იფიქრე, რაცხა პაწია წვრილ ფეხი გეყავს შინ დავკლათ, პაწე ოტკა, პაწე ყველი, გოკები და რაცხა რაცხეებს მუუყაროთ თავი, წეიღე, თფილისში კაი ფასი ქონებია ყოლიფერს, გაყიდე, ჩამოდი, კიდევ წეიღე აქედან რამე, ფული ფულს მეიგებს და სულს მევიოქვამთ.

დევეთანახზე, გულრიე მუსრი ქათმებს, ინდოურებს, გოკებს; ხუთი სადგამური დედალი მყავდა, დავკალი, ორი დედალ-მამალი ინდოური, სამი კვატე, ორი ბატი, სამი გოკი; შეიქნა ჩემსას კრიახი, ქუვილი კალანდა წინალამეს რომ იციან ისე დავსწმინდეთ, დავალამაზეთ, ჩავასხი პაწა კუბრიელაში 15 ბოთლი ქაქის ოტკა, ორმოც ყველს მუუყარე თავი, დავაცხოზიე საცხალი ქაღები კელასიას და მევემზადე წასასვლელად.

კი, მარა, გზის ფული რუმ არ მაქ, რეით წევიდე ქალო?

ბეჩა, ერთი დედალი ქათამი საჯოვახოში ჩამიყვანს, ერთი დედალიც საჯავახოდან თფილისში.

რას ამბოფ ქალო რაფა, მტარ დედალზე გადავუღებ და წამიყვანს თუ, რაფერ მელაპარაკები?

შენ უბედურო დედალი ფული არ არის? შენ არ იძახდი ცოციადისტი ვარ და პაგრაზაც ვიცი მაროქსიეს? „საქონელი ფული არის“ დედალი ახლა ოცი თუმანი ღირს აქანე და ოც თუმნათ საჯავახოში ჩავიყვანს მეფაიტონე.

შევაკაზე ცხენი კურტნით, დავქვირთე, წულამესტი ხვირჯინში ჩავდვი, მე ფეხზე ქალაზანი ჩამევიცივი, გავევემზადობე კელასიას და გამუუყვი საჯოვახოსიკენ... კელასიამ მომამახა:

საკაბე რუმ არ ჩამომიტანო, რე არ ჩამოხვიდე. პაწა პუღრიც წამოვიდე, თუ არ დავგიწყედს ..

კარქი, კარქი. მივაჩქარებ ცხენს და მივალ, ჩევედი საჯოვახოში. ყველაი ნაცნობი ვნახე. დეველარჯე ყველას: შენი ქირიმე, მიშველეთ, შემატანიეთ აგი ხაბაკები პოვეზღში, თვარამ თუ ნასილჩიკებს ვაზილდე, გამამარობენ ტყავს მეთქინ... ამოვადვრე ხვირჯინიდან ორი დედალი, გევიხმეცე ოსოფეშვილი, უთხარი: გზის ფული არ მაქ და აი ორი დედალი რუმც არ გქიროდეს, იყიდე მეთქინ. ააშენა ღმერთმა, არ შეშეკურებია, ისე მომცა ასი მანათი ორ დედალში. ასი მანათიარ გეყოფა გზის ფულათო, მითხრა, ერთი დედალი ინდოურიც მიეფცი და შემისრულა ოც თუმნათ ევიდე ბილეთი, მევიხმარიე ყალი კაცი, შევალაგეუ ხაბაკი პოვეზღში, მივაწყ-მოვაწყეთ: დასაჯდომ ქვეშ, თაროზე იქით, აქით კუბრიელე ფეხებს ქვეშ შამევიდევი და მოქუასავით დავაქურუქდი ზეთ, მითხრეს: „თუ გინახენ, დივიტირავენო.“ დასაქდომი ვერ ვიშონე,

ავიდგარიყავი, კუბრიელე გამოჩნდებოდა, დავაყუყდი ისტვლე კუბრიელს, დედალი რომ დააჯდება გამოსატებ კვერცხებს.. ააშენა ღმერთმა იგენი, რაცხა პოვეზღის გახარანა ყოფილა, სამტრელიაში არ ვიყავით მისული, რომ გამოჩნრიკეს ოტკა, წამიყვანეს საცხა ოთახში და მითხრეს: „უნდა წარვადგინოთო“

თქვენ იცით, რასაც კარგ საქმეზე წარმადგენთ, მარა რა გქენი ახლა იმისანე რომ უნდა წარმადგინოთ?

რას ღლაბუცობ შენ ყაძახო, ხუმრობ, თუ რას ამბოფ?

წამოდი მალე და ნახავ შენს სერს. პაწე ქე შემეშინდა. შევეხვერწე; ნუ დამლუპავ ამ 15 ბოთლი ოტკიზა მაგი თქვენი ფეშეკეში იყოს მეთქინ. ფეშეკეში კი არა, ამ ოტკას ჩვენ წარვადგენთ, შენ წადი შენ გზაზე და როცა დროი იქნება, მოგიკითხამთო..

შევედი პოვეზღში, დავხედე ხაბაკს—ჩემი ორი გოკიც ქე წეიდგინა ვინცხას საცხა.

აი, რაცხა ფეხზე ვაქრობა რა უბედურობა ყოფილა; საჯოვახომდე ფეხით ჩამუედი, პოვეზღში შევედი და იქინეც ფეხზედ ჩამოვწეტი. ჩავაწიე თფილისში, მივედი რაცხა დეზერტიკრების ბაზარი ყოფილა. მივედი, რა ვნახე!!!.. ვინ არ ვნახე, რა არ ვნახე იქინე: თელი გურიია-სამეგრელოს და იმერეთის დღეყანტი ბიჭები აქ იყო.

აი, მდევით ბიჭები, უწინ გლახათ რუმ ვერ მიელაპარაკებოდი, დაქურუქებოდენ თავზე ზოგი დაკლულ ბატს, ზოგი ინდოურებს, ზოგი ქათმებს, ზოგი ფქვილს, ხილს, ვაგჩერდი მეც ერთ ადგილზე, ამევილე ჩემი ქათმები, მარა რა დამჩა: ორი ქათამი, ბატი და კვატები, ყველი ისე დაქნეხილიყო, რომ ერთმანეთში გადადუღებული გეგონებოდა, კაცმა არ მოკიდა ხელი. დევიწყვე წინ ტომარაზე ქათმები, კვატები, ბატები დაფშენილი ყველები, კაი ორი დღეი ვადექი თავზე ქირისუფალსავით ამ უბედურობა სიცივეში, მინდოდა ძვირად გემეყიდა ემენაზლაურებია ზარალი, მარა რომ ჩამოვწეტი ძან ფეხზე და სიცივემც მომიჭრა, მივაყიდე ზედ, და შევედი სამიკიტნოში, ვიფიქრე, ერთს მაინც გამოვძლები მეთქი. გამოძლომით ქე გამოვძეხი, მარა დამიყდა ოთუსბირად. დამჩა ერთი ორასი მანათი, გევიარ-გამევიარე, ახლა ჩვენი ბიჭები ვნახე, გუუყვირდენ ჩემი ნახვა, დამიწყეს ქირდვა-სიცილი, ბიჭო ბეჟუკა, რა შენი ქკუის საქმეა ფეხზე ვაქრობაო.

დამანებეთ თავი, ქე ვხედავ ჩემს სიკეთეს, თქვენ ნულარ მტკლევთ გულზე თვარა ვინცხას რაცხა საშინელს გიზამ.

რალას ვიზამდი, იმ დღეს იგი ორასი მანათი ჩაის დაღვევაში და ღამის გათევაში მივაფშენი.., დავრჩი უკაპეიკათ... ჩევიცივი ქალაზნები, ვადვიკიდე

მკლავზე ჩემი მესტები, ევიარ-ჩამევიარე ერთი დე-
ზერტირების ბახარში და ხელათ მივყიდე სამას მა-
ნათად... ახლა რაქნა, სათ წვედღე არ ვიცი, წა-
ვალ შინ, მარა რაფერ წვედღე სირცხვილით? ან კი
მიმიშობს სახლში ჩემი როკაპი კელასიე? სახში ვერ
მივალ და იგია. . არა!... რეიზა არ მომცა ღმერ-
თმა მე რამეის შნოი? ფეხი რეიზა არ მომტყდა მე
რომ ფეხზე ვაჭრობა დევიწყე?

ლუკაიეს ობოლი.

ს ა მ ტ რ ე დ ი ა.

I

ამბობენ: დღეს ჩვენში აი რა ხდებაო,
ქალაქი თანდათან უკანა დგებაო.
მცხოვრებნი ტალახში იღრჩევა, კვდებაო,
შემწყალე ხელი კი არსიდან ჩნდებაო.
შრომა და სიცოცხლე დღითი-დღე ჰქრებაო,
ბოლმა და ნაღველი გულში არ ცხრებაო.
ქალაქი მწუხარებს და ცრემლათ დნებაო—
რა წყალში ჩავეარდეთ—რა გვეშველებაო.

II

ამბობენ: გვეღირსა მუშათა კლუბიო,
მაგრამ შიგ ვერ მოვსპეტ დავა და ჩხუბიო.
კვლავ მიდის ძველი გზით ძველებურ წესითო
და ძველებურათვე ვართ ტანჯვა კვნესითო.
მართლაც, ჯერ პიესა მის შესაფერიო
და სტენის-მოყვარეც გულანაძერიო,
ჩვენ იქ არ გვინახავს... მუშებიც ცდებაო
და ხელში ნაყოფი აღარა გვრჩებაო.
დღეს ვამგეს კლუბისას ვოხოვთ ვაღვიძებასო.
იწამოს ღმერთი ნუ შეგყვრის სნებასო.
ნუ დაგვისახიჩრებს გემოს და გრძნობასო
და სამაგიეროთ ვუცხოვნებთ მშობლებსო.

ჭავჭავი ბზიკი.

ბინის პატრონის ქალი.

(შარტი ერთ მოქმედებათ).

ძღვნათ მიტოს.

მოქმედნი პირნი:

ვანტანგ ვაბრიელიძე } სტუდენტები
სანდრა }

ოლიმპიადა ივანოვნა, ბინის პატრონის ქალი.
დაშა, მოსამსახურე.

მოქმედება საწრმოებს რუსეთის ერთ-ერთ საუ-
ნივერსიტეტო ქალაქში

ვანტანგის ოთახი.

ა.

ოლიმპიადა ივანოვნა. კავკასიელია?

დაშა (დიმილით) დიახ, ქალიშვილი.

ოლიმპიადა ივ. ქართველია, თუ სომეხი?
დაშა. ქართველია, ქალიშვილი.

ოლიმპიადა ივ. ძალიან შავია?
დაშა. არც ისე..

ოლიმპიადა ივ. თვალები ხომ ძალიან შავი
აქვს?

დაშა. ძალიან, ძალიან ქალიშვილი!

ოლიმპიადა ივ. დაშა, შენ არ მოგწონს შე-
თვალეზიანი ყმაწვილი კაცი?

დაშა. (გაწითლდება, თავს დახრის და... იღიმება)

ოლიმპიადა ივ. მიპასუხე! რისა გცხვენია? ხომ
მოგწონს, ა?..

დაშა. კი... (სიცილი წასვლება)

ოლიმპიადა ივ. მეც, დაშა! (მატახა ზაუხა)

დაშა, ჩვენი სტუდენტი, ქალიშვილი, ძალიან
თავზიანი ყმაწვილია... გუშინ საღამოს... (იღინას).

ოლიმპიადა ივ. ჰო, რა მოხდა გუშინ საღამოს?

დაშა. არაფერი... ჩაი შემოვფრთხანე... და ისევე
გავედი მეტი არაფერი...

ოლიმპიადა ივ. მატყულებ!..

დაშა. (იღიმება)

ოლიმპიადა ივ. ალბათ გაგეარშიყა. ხომ მარ-
თალს ვამბობ? მითხარი, ხომ მართალს ვამბობ?..
ხომ გაგეარშიყა?..

დაშა. (ერთბაშათ) მიბწკინა (იღინას).

ოლიმპიადა ივ. მეტი არაფერი! არ უკოცნია?
არა, უსათუოთ გაკოცებდა! ხომ გაკოცა? მითხარი
ხომ გაკოცა?.. (მუდარათ) ჩემო დაშა, მითხარი მარ-
თალი მითხარი... ხომ გაკოცა?.. შუალზე თუ ლო-
ყაზე, ა?

დაშა. (იღრჩება) ლოყაზე, ქალიშვილი!

ოლიმპიადა ივ. აი შენ, ეშმაკო, შენა!
ლოყას უსინჯავს) უკბენია კიდევ! ხომ მართალს
ვამბობ? აი აქა! ხომ გიკბინა? ძალიან მაგრათ?

დაშა. არა, ძალიან მაგრათ არა.

(ფეხის ხმა მოატანს).

დაშა. სტუდენტი მოდის ქალიშვილი!

ოლიმპიადა ივ. ასე მოულოდნელათ! როგორ
გავიდე! ღმერთო ჩემო! (შემოდის გასტანგ)

ბ.

ვანტ. (კარებიდან) ვისთანა მაქვს ბედნიერება?..

ოლიმპიადა ივ. მე ბინის პატრონის ქალი გა-
ხალავარ! თქვენი მოქმედებით მეტის მეტათ
აღლევებული ვარ!.. მე სახლში არ გყოფილვარ.. აი
ეხლა ჩამოვედი სოფლიდან... მე ყველაფერი ვიცი!
დაშამ დაწვრილებით მიაშპო ყველაფერი...

დაშა. მე, ქალიშვილიო...

ოლიმპიადა ივ. გარეთ!

დაშა. ქალ..ი

ოლიმპიადა ივ. გარეთ მეთქი! (სკესს შოჭკიდებს
და გააგებს).

(დასასრული იქნება).

„ღიას, ჩვენ გავსჭვრიტ ფანჯარა ევროპისაკენ!“
(ლენინის სიტყვიდან)



ლენინი. (პეტრე ღიას) აქ უყურე, ძია, როგორი სარკმელი გავსჭვრიტ ევროპისაკენ? ერთი ბოლშე-ვიკური წიხლი და... სარკმელიც მზად არის! მაშ არ დაიკვებო, თითქოს შენ გავიჭრას ეგ სარკმელი!

ფ ო ს ტ ა.

სარდალს. (სად. გომში) მოწყალეო ხელმწი-ფევ! რამდენ ქალიშვილს კომისარი გამოედევნება და რკინის გზაზე დაამტვრევს, თუ ყველა ამის შე-სახებ ჩვენ ვწერეთ კარგათ კი წავა ჟურნალის საქმე.

პარ. ჯიქთუბნელს. თქვენი საუცხოვეო გამო-ცანიდან ვბეჭდავთ მხოლოდ ორ ტაქსს.

„რადგან ბიურო შენ აიგდე,
და პირს აფხენ, როგორც ლლაფი...“

გეცხადება საბოლოოთ,
ჯარიმები ქართულ კლუბში.
შენს ბიუჯეტს ვერ შეარყევს
ვერც სადილი, ვერც ვახშამი...
თუ ამაზედაც ვარს იტყვი.
გაგერიოს ძმაო ჟამი.

რასაკვირველია დანარჩენებსაც დავბეჭდავლით,
რომ ვიკოდეთ ვის; ან რას ეხება რკი.

ზაგრანიცელს. წავიკითხეთქვენი წერილი „ფი-ცი მწამს, ბოლო მაკვირვებს.“

წარპოიდგინეთ, ჩვენ ფიცი არა გეწამს, მაგრამ
თქვენი წერილი ძლიერ გვაკვირვებს.